




ინგლისის ეკონომიკის ღიაობა

ს ი ა ნ ბ ი



ისეთი გახურებული მუშაობაა, მთაშიც კი დასცხება კაცს. მოხუც გიგოს კულტივატორისათვის ჩაუვლია ძარღვიანი ხელი. მწკრივთა შორის ატარებს სიმინდის ყანაში.

— ფუ: შერცხვა შენი გამქვდი!

— ქიკ-ქიკ! — გაისმა ანახლად ჩიტის ხმა. — რატომ ჯავრობ, ძია გიგო?..

— ეჰ, ჩიტო! — ამოიხრა გიგომ და მწვანე საღებავით დასვრილ ხელებზე დაიხედა. — ვინ იყო ის უნიათო. ასე უურწავდებით რომ შედემა ეს კულტივატორისათვის? საღებავს ვინლა ჩივის, ხელები დავეჭერი! მაგრამ შენ რას მიშველი, ჩიტო? წადი, იფრინე შენთვის!..

ჩიტმა შეიფრთხილა, გაფრინდა და თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის ეზოში ჩაფრინდა.

— ეს საქმეა? — მოესმა იქ ახალგაზრდა მუშის ხმა. — ისეთი ოსტატები გვყავს, მთასაც კი შეეჭიდებიან... ჩვენთან იერიშობანას რა უნდა? უთავბოლოებით ყოველ თვის ბოლოს ლამის ხელები დაგვაწყდეს. ვაი, რომ ამ სიჩქარეში კულტივატორებიც ზოგჯერ ცუდი გამოგვდის! ვინ იცის, რას ამბობენ კოლმეურნეები?

ჩიტმა ფრთები ჩამოყარა. ერთხანს იქიკიკა და ქარხნის დირექტორთან შეფრინდა. კაბინეტში თათბირი გაემართათ. ცხარედ კამათობდნენ და ჩიტი არავის შეუნიშნავს.

— კულად გვაქვს საქმე, ამხანაგებო! მაისის თვის პირველ დეკადაში 650 კულტივატორი უნდა გამოგვეშვა და რაკი მასალა არ გვქონდა, ერთიკ ვერ გამოვუშვივით. მეორე დეკადაში რალაც 250 ცალი დავაგროვეთ, მესამეში კი უცებ — 1500! ასეთი რამ გაგიგიათ? თუ „გლავმეტალსბიტის“ საქართველოს კანტორამ გულგრილობაზე ხელი არ აიღო, თქვენი მტერი: დავიტანჯებით ჩვენცა და მუშებიც!

— შენც ვითომ ახალი რამ თქვი! მაისი უკვე გავიდა. ამ თვის პირველ დეკადაში 900 მაგიერად ნზოლოდ 80 კულტივატორი გამოვუშვივით. თვის ბოლომდე კიდევ 20 დღეა და 2720 კულტივატორი უნდა გამოვუშვათ. მასალა კი ჯერაც არსად ჩანს.

— მეც ჩემი საჩივრელი მაქვს. — წამოდგა მალალ-მალალი მუშა. — ერთი ფარდული არ გავგაჩნია, რომ შედლებილი კულტივატორები დავაწყოთ. წამოვა წვიმა, საღებავს ჩამორეცხავს და ხელახლა შესაღებავი ხდება. ამას მუშაობა ჰქვია?!

— რა დროს ფარდულია, ძმობილო! ამწყობ საამქროში არასოდეს დროზე არა გვაქვს ქანჭიკები. კვირაობით ყრია ასაწყობი კულტივატორები. ქანჭიკი უნდა მოუჭირო, ვინც ასე გვაფერხებს მუშაობაში.

— ზოლოვან რკინასაც რომ დროზე არ გვაძლევენ! ამ თვეში რის ვაივგალახით მოგვეცეს ფურცლოვანი რკინა. ეს მასალა ახლა ლითონ-კონსტრუქციის ქარხანაში უნდა გადავიტანოთ და ზოლებად დავჭრაოთ.

— მერე ხარისხი? ხარჯები?

— მაგას ნულარ იტყვი! თითო კულტივატორის ფასი სამი მანეთით გაიზრდება. რკინაც ხეირიანად ვერ იჭრება და ხელებს გვისერავს.

— არც ბრინჯაო მოგვდის დროზე.

— თუჯსაც ნუ დაიფიწყებ!

— დაზგა-დანადგარებიც მიუმატე!

— წნეხიც გაიხსენე!

— რა დროს წნეხია, ერთი ავტოკარა მაინც მოგვეცენ, რკინებს ხელით დავათრევ!

— მოიცათ, მოიცათ, მოიცათ!.. — იყვირა სასოფარკვეთილებამდე მისულმა დირექტორმა ვარლამ ქაგუანიძემ, — ყველაფერი ეს ათასჯერ გვითქვამს, მოგვიტხოვნია, გვიჩივლია და მაინც არაფერი გამოსულა. არც არაფერი გამოვა თუ ქარხნის ნედლი მასალით მომარაგების საკითხი არ მოგვარდა.

— მე არაფერი შემოძლია, დავიტანჯე და მემარნიშვილთან ვერაფერს გავხდი! — შეჰყვირა ქარხნის მომარაგების უფროსმა ვლადიმერ გასპაროვმა და კარი გაიჯახუნა. ჩიტი მაშინვე დაედგინა გასპაროვს.

— ქიკ-ქიკ! სად მიდიხარ? აბა, გადახედე მუშებს, როგორ დალილან!

— ვინა ხარ, ჩიტო? — გაუკვირდა გასპაროვს, — რა უცნაურად მელაპარაკები?

— ქიკ-ქიკ! ქიკ-ქიკ! მუშებს რატომ არ უგდებ უფროს? რატომ არ ამარაგებ ქარხანას?..

— ვამარაგებ, ჩიტო, ვამარაგებ! აქ რომ ვერაფერს გავხდი, შენსავით ფრთები გამოვისხი და აპრილში შორს, შორს გავფრინდი ბრინჯოსათვის. მაისშიც ვიფრინე ქანჭიკებისათვის. 2 ტონა ბრინჯაო და 1 ტონა ქანჭიკი თვითმფრინავით ჩამოვიტანე. მაშ რა მექნა, ჩიტო? „გლავმეტალსბიტის“ საქართველოს კანტორის მმართველი მემარნიშვილი გულხელდაკრფილი ზის და მასალას დროზე არ გვაწყდის. ჰოდა, აი, ვწვალობთ. გვგმას კი ვასრულებთ, მაგრამ რა გამოვიდა, ლამის ბოლო მოგვიღოს იერიშობანამ!

გასპაროვმა თვლიც კი ვერ მოჰკრა, ისე უცებ გაფრინდა ჩიტი, იფრინა ჩიორამ და „გლავმეტალსბიტში“ შეფრინდა. მემარნიშვილი სკამზე ყვინთავდა — ჩასძინებოდა „დალილი-დაქანცულს“. მაგიდაზე რალაც ქაღალდები ეყარა: „მოთხოვნა“, „მიმართვა“, „მითხოვნა“, — ეწეოდა ქაღალდებზე.

ჩიტს მემარნიშვილი აღარ გაუღვიძებია — ყველაფერი ისედაც ნათელიაო! — დაიქიკიკა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრს ალექსანდრე მელაძეს პირდაპირ კაბინეტში შეუფრინდა. მელაძე ოთახში მიმოდიოდა და ზეპირად კარნახობდა მემარნიშვილს:

— ვინაიდან სოფლად მანქანა-იარაღებზე მოთხოვნილება მკვეთრად გაიზარდა, დაჩქარდეს თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხანაში პროდუქციის გამოშვების ტემპი და 8 თვის გეგმა შესრულდეს 2 თვეში.

— ქიკ-ქიკ! — დაიქიკიკა ჩიორამ. — გეგმას ორ თვეში როგორ შეგისრულდებენ, თუ მასალას არ მისცემთ? როგორ იმუშაონ, თუ მემარნიშვილს არ გააღვიძებ? ან რატომ უურადლებას არ აქცევ, ქარხანა რომ ტექნიკურად მოუწყობელია?

— ჩიტო, ვისი ხარ? საიდან მომეველინე? — გაოცდა მელაძე.

— თუკი თვის ბოლოს ახერხებს მასალის მიწოდებას მემარნიშვილი, თვის დასაწყისში ველარ შესძლებს ამას? ზოგჯერ განა, მუშები რომ გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ! მაშ, რატომ იერიშობანა არ გეჯავრებათ?

— ჩიტო, არ მეტყვი ვისი ხარ?.. შენ ისეთი იერიშით დაიწყე ლაპარაკი, გეტყობა კარგად უნდა გესმოდეს, რაც არის იერიშობანა!

იერიშობანა რაც არის, ეს ამხ. მელაძესაც კარგად ესმის. იმას ეკცხადია, ვერ მიხვდებოდა, რომ ბაწია ჩიორა, ჩიტი კი არა, „ნიანგის“ ჩიტკორესპონდენტი იყო!

ალ. სილაგაძე

8. ჯინჯარაძე

დასასვენებელ საუბაოზე

— ან ზაფხულს ხად მიდიხარ დახახვენებლად, მზია?
— ზღვაზე... პიონერთა ბანაკში მოვეწყე პედაგოგად.



ნახ. გ. ფირცხალავასი


ნახ. ჯ. ლოლუსი



— ნეტა ამ ზღვას რა აღელვებს, ესეც რევიზიას ხომ არ ელოდება?

წინდაუხედავი უპაიოსება

ერთ-ერთი გამომცემლობის ერთ-ერთ კაბინეტში სახდაზღვევის აგენტი შევიდა და მიმართა ერთ-ერთ მწერალს—ეს უკანასკნელი ხომ არ ინებებდა სიცოცხლის დაზღვევას. მწერალმა მრისხანედ შეუბღვირა სახდაზღვევის აგენტს, მაგიდაზე გაშლილი, ახალმიღებული გაზეთი მოკეცა და თვალბრუნებით მიუტანა შეურაცხმყოფელს: გაზეთში დაბეჭდილ რეცენზიაში მწერალი უკვდავთა შორის იყო მოხსენებული.



ნაცნობი და უცნობი

სამსახურში არ გამოცხადდა. ნაცნობმა ექიმმა ყალბ ცნობაში საშიში ავადმყოფობა ჩაუწერა; ცოტა არ იყოს, შეშინდა და უცნობ ექიმთან გაიქცა სიმართლის გამოსარკვევად.



თვალზუჯია დედოფალი

დედა და პატარა გოგონა უნივერსიტეტის საბავშვო სექციასთან შედგნენ. — დედა, ეს თვალზუჯია დედოფალი ძალიან ძვირი ღირს? — „მიყიდეთ“, ვეღარ გაუბედა გოგონამ მშობელს და ოქროსფერთმიან გამყიდველ ქალზე მიუთითა, რომელიც სკამის ზურგს მიპყრდნობოდა და ტკბილად ეძინა. დედას გაეღიმა. — არა, შვილო, კაპიკია მაგის ფასი.



უსახელო სიკვდილი

— საკვირველია, რატომ არ აწერია ამ მდიდრულ საფლავს მიცვალებულის გვარი? — იმიტომ, რომ ეგ თურმე ანონიმური წერილების დიდი ოსტატი ყოფილა, და როცა გარდაიცვალა, არაფერი იცოდა მისი გვარი.



სხარტი და ზუსტი პასუხი

— როგორ დაახასიათებთ თქვენ ამერიკულ ცხოვრებას? — ჰკითხეს მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნებულ ჩეხოსლოვაკელ ჟურნალისტს — მოკლე და სხარტი წერილების ავტორს. — როდესაც ამერიკაში ერთ-ერთი ფირმის მფლობელთ გული უსკდებათ მოსალოდნელი გაფიცვისაგან, მეორე ფირმის მფლობელნი უკვე ფიქრობენ გულის... პროტეზების გამოგონებაზე, — უპასუხა ჟურნალისტმა.



ქვეყნის სურათი

დაკვირვება პირველი. შენ და უფროსი

ეშმაკობა, მართალია, ეშმაკმა მოიგონა, მაგრამ ეშმაკი ადამიანმა გამოიგონა.

ენუქას ბლოკნოტიდან

—კაცი მოწყვეტილ მეტეორსა ჰგავს, თვითონაც არ იცის, როდის რას დაეჯახება. ყოველ შემთხვევაში, კლდეს დაჯახება ჯობია, უფროსთან შეჯახებას. უფროსი ისე უფროსი არ იქნება, მომხრეები რომ არა ჰყავდეს.

თუ სიამტკბილობა გაქვს, ქათამი რომ ქათამია, ინდაურზე დიდად შეგიძლია მოაჩვენო უფროსს. ვთქვათ, ინდაური და ქათამია გასაყოფი. უფროსი გკითხავს—რომელი გირჩევნიაო. შენ ქათამს აირჩევ, ეს უფრო დილია-თქო, ეტყვი. უფროსს გაელიმება და დაგთანხმდება. ამით ცოტას იზარალებ, მაგრამ უფროსი თუ გწყალობს, ფარშავანგსაც მალე იშოვნი (რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც უფროსი სახლში სპილოს დაიბამს).

მაგრამ უფროსიც არის და უფროსიც.

არსებობს—დირექტორი, მდარექტორი და დურაქტორი.

პირველი კატეგორიის უფროსი მრავალია. უნდა ვრიდო. გამუშავებს, საქმეს გაგაკეთებინებს და სახლში ზედმეტს არაფერს გაგატანს.

მეორე კატეგორიის უფროსი არც ისე იშვიათია. არსებობს და არაფერს კარგავს იმის გამო, რომ ქვეყნად ღმერთს მოადგილე გაუჩენია.

მესამე კატეგორიის უფროსი იშვიათია და მეტად საჭირო. ასეთი უფროსი ადგილზე ბებუას წყალობით ზის და რაკი ბებია თავისთავად ბებერს ნიშნავს, მის მალე გაქრობასთან ერთად ბებუას ბიჭიც ქრება.

ასეა თუ ისე, უფროსთან ბეგრნაირად გმართებს თავის დაქვრა.

უფროსს არ აჩვენო, რომ მასზე კვიანი ხარ. ეს მეხივით დაეცემა მას და შიშით, ადგილი არ წამართვასო, გარეთ გამოგადგებს. მოაჩვენე, რომ ის შენთან შედარებით სოლომონ ბრძენია. ვთქვათ უფროსს ასეთი სისულელე წამოსცდა: „გუშინ კახეთში ვიყავი, რა დიდებული ქალაქი ყოფილა ქუთაისიო“. მსგავსი რამ ადვილად შეიძლება მოხდეს. მაგრამ შენ არამც და არამც არ წამოიძახო—ქუთაისს კახეთში რა უნდაო, პირიქით, არ ვყოფილვართქო, უთხარი, გეოგრაფია არ მაინტერესებს, ყოველთვის „ორი“ მქონდა მაგ საგანში-თქო. უფროსს გაეხარდება, რომ მისი ხასიათი გქონია და თქვენი წარსულიც ერთიმეორეს ჰგავს...

უფროსი ხშირ-ხშირად უნდა დაპატიო. თუ ზედმეტად გოროზია და დაპატიებებს არ ლებულობს, ეცადე, ხოლო შემდეგ უხეშად როგორმე აიძულე, რომ თვითონ დაგპატიოს. თავი დააპატიეებინე და შემდეგ დანახარჯი შენ გადაიხადე. ეს არ ეწყინება. პირიქით, ამის შემდეგ ხშირ-ხშირად დაგპატიებებს.

უფროსი მზე არ არის, რომ დაგწვას. ეცადე რაც შეიძლება ახლოს იყო მასთან. ასიაშოვნე და ისიაშოვნე. დაახლოებისა და სიაშოვნების ყველაზე კარგი ხერხია ამბის მიტანა. მაგრამ დაახლოებული თუ არა ხარ პატივცემულ უფროსთან, ამბის მიტანა არც ისე იოლი მოსახერხებელია. ასეთ შემთხვევაში, დასაწყისისათვის შენდგენაირად უნდა მოიქცე: ვთქვათ რომელიმე თქვენმა თანამშრომელმა ცუდი თქვა უფროსზე. შეხვალ უფროსთან და ღიმილით მიმართავ:

პატივცემულო უფროსო, რატომ ფიქრობთ, რომ მე თქვენზე ნაწყენი ვარ?

ის გაიკვირვებს და გკითხავს:

—კი მაგრამ, ვინ ვითხრა, რომ მე ასე ვფიქრობ?

—მაშ რა საჭიროა გამოცდა?—ეტყვი შენ.

—რა გამოცდა?!—ერთბაშად გაიკვირვებს ის.

—რა და ჩვენი თანამშრომელი ესა და ეს მოდის და ცუდს მელაპარაკება თქვენზე; მცდის, რომ ცუდი წამომცდეს და შემდეგ ამბავი მოგიტანოთ. ყველას გეფიცებით, თქვენზე, კარგის გარდა, არაფერს ვფიქრობ...

უფროსი დაინტერესდება. გკითხავს, რას ამბობს მასზე „ესა და ეს“. შემდეგ სხვათა ნათქვამის შესახებაც შეგეკითხება და ასე დამყარდება თქვენს შორის ერთგულების კავშირგაბმულობა.

უფროსთან ისეთ დამოკიდებულებას უნდა მიიღწიო, თვალში რომ ჩაუვარდე, ხელი არ ამოისვას. ნუ გაგვიკვირდება, უფროსის თვალში ადვილად შეიძლება ჩაეტიო, რადგან მას, უფროსს, დიდი თვალეები აქვს. დიდი თვალეები აქვს იმიტომ, რომ შენზე დიდი ადგილის დაკარგვისა ეშინია.

ჯარისკაცი ისე ჯარისკაცად არ ვარგა, ოფიცრობაზე თუ არ ოცნებობს. ყოველთვის მზად იყავ, რომ უფროსის სხვაგან გადაყვანის შემთხვევაში მისი ადგილი დაიკავო. ამისათვის კი საჭიროა შემდეგი:

იშვიათია, თითქმის არ არის ისეთი შემთხვევა, რომ უფროსი გააკრიტიკო, გამოამქლავნო, მოხსნან და მის ადგილზე შენ დაგსვან. პირიქით, უფროსი თუ მოხსნეს, მის ადგილზე სხვა მოვა. სხვას წინანდელის ხედრისა შეეშინდება და ზრდილობიანად გავისტუმრებს ვარეთ.

ტკბილად იყავი უფროსთან და ხშირ-ხშირად დაუყარე ხმა, რომ იგი ამა თუ იმ უფრო დიდ თანამდებობაზე გადაჰყავთ. ხალხი ალაპარაკდება, ნათქვამი არ გამართლდება. ერთხელ იზამ ამას, მეორედ, მესამედ. გადამყვანის ყურამდე რომ ყველა ეს ამბავი მივა—შეიძლება იფიქროს: ალბათ ღირსია დაწინაურების, საზოგადოებრივი აზრი რომ ამას მოითხოვსო. უფროსს მოგაცილებენ, მისი ადგილი გათავისუფლდება. შემდეგ კი, შენს ყოფილ უფროსს რომ ჰკითხავენ—შენს ძველ ადგილზე ვინ დავნიშნოთო, შენ დაგასახელებს. ასე გახდება უფროსი.

სოკრატემ გაიციინა და მამას გამოეკამათა:

—მერე? უფროსობა განა ადვილი საქმეა?

ენუქამ იქვე მიუგო:

—ხომ მოგახსენეთ, საქმის გასაადვილებლად ღმერთს მოადგილე გაუჩენია.

—მართალია, მართალია!—დაადასტურა ბაგრატამ.

—თანამდებობას დიდი მოვლა უნდა, ძნელია თავის გატანა,—არ ისვენებდა სოკრატა.

—მართალი ხარ,—მშვიდად განაგრძო ენუქამ,—ახლა კი იმას გასწავლით, თუ როგორ უნდა მოუაროთ თანამდებობას.

8. იპანიშვილი

იპ. გ. ფირცხალავასი



ზურბიკომ ამოცანის არახწორად ამოხსნისათვის ორიანი მიიღო და, როგორც დამნაშავე, კუთხეში დააყენეს.



ნამდვილი დამნაშავე რომ დაეხაჯათ, ახეთ სურათს მივიღებდით.



ნახ. ა. კანდელაკისა

— ვაჰ, ვაჰ, ხაოცარია, ბუზებმა კითხვა იხწავლეს?!



— მომილოცავს, ბავშვი შეგძენია, წარმოიხდენია, როგორი გახარებული იქნება შენი ცოლ...
— ჩუ! ცოლმა არაფერი იცის!

სხვის მიცვალაბული

ყველა საგამომძიებლო საქმეს თავისი დასაწყისი აქვს და თავისივე ყისმათიანი თუ უყისმათო დასასრული. საქმის მოხერხებულ დასასრულს მილიციის ამოსუნთქვას ეძახიან, ხოლო მის გათარსება-გაქიანურებას — კრიტიკულ ჩასუნთქვას. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც ჩასუნთქვას ზოგჯერ საუბედროდ ჰქვია და თავის ფხანაც მოყვება ხოლმე, მაგრამ იგი აბა, რა მოსატანია იმ კმაყოფილებით სავსე ამოსუნთქვასთან, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ სადგურ თბილისის რკინიგზის მილიციის განყოფილებაში ჰქონდა ადგილი; და მართლაც, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო ისე უეცრად მხითარინის ოჯახიდან დაკარგული ქალის პოვნა და მისი გვამის უეცარი ამოცნობა. ამის გამო იყო, რომ რკინიგზის მილიციის მუშაკები კმაყოფილებით ხელგის იფშვინტნენ და თამარ მხითარინს არწმუნებდნენ:

— შენია, ქალო, გაიგე, რომ ნამდვილად ერთი თვის წინ დაკარგული შენი შეილია.

— არა, ქაა, რას ამბობთ! ჩემ შეილს ვერ ვიცნობ? განა დაუსწრებლად მყავდა გაზრდილი, ჩემი თინა ასე გრძელი როდის იყო?

— ქალო, გაიგე და შეისმინე: ადამიანი როცა კვდება, იზრდება.

— ცოცხალი რომ იზრდებოდა ეს ვიცოდი, მაგრამ მკვდარიც იზრდება?

— იზრდება-მეთქი, იზრდება... — ჩაულაპარაკა დარწმუნებით მილიციის ერთმა მუშაკმა. თამარ მხითარინმა მიცვალაბულს კბილები გაუსინჯა და უფრო დაბეჯითებით წამოიძახა:

— არა, არა... ჩემი თინა უფრო ახალგაზრდა იყო!

— ვაჰ... პირუტყვი ხომ არ არის, ადამიანო, კბილებით რომ უსაზღვრავ ასაკს?

— ჩემ შეილს ოქროს კბილი როდისა ჰქონდა? ამას ხალასი ბაჯალლოს კბილები აქვს! ჩემ გოგოს კისრის არეში ჰქონდა ხალი, ამას...

— ხალი დაბლა დაიწვედა...

— ნარცხენა ფეხის წვივის უკანა მხარეს ტყირპის ნიშანი ჰქონდა...
— გაქრებოდა...
— ბარძაყის არეში ნაიარევი ჰქონდა...
— გაუქრებოდა...
— ოქროს ბეჭედი და მედალიონი არა ჰქონდა...
— შეიძენდა... ერთი სიტყვით; დასაფლავება არ გინდა... ვერ მოგვატყუებ. წაიღე, წაიღე მიცვალაბული და დასაფლავე...
— ვაჰ, მილიციონერჯან, სხვისა მიცვალაბული დავსაფლავო, ხუმრობა საქმეა! ბუ ხომ არა ვარ? ანდა რა დიდი თავი მე მაქვს! დაკარძალვა, ნათლობა ხომ არ არის, სასაფლაოზე მიწას შოვნა უნდა, ფული უნდა, ქელები უნდა, პატრისცემა უნდა! უფულოდ სასაფლაოზე მიწის კი არა, ბალახს ვერ იშოვნი. კუბო ხომ უნდა? ახლა ტანსაცმელი! ტირილით როგორღა ვიტყვო, როცა ჯივარი არ მეწვევა, თვალზე ცრემლები არ მოდის. სირცხვილია... ნახიბია... ჯამათია...
— იტირე, იტირე, მოვა...
მაგრამ მაინც ვერ მოიძინა თვალზე ცრემლი თამარ მხითარინმა. იგი კრიტიკულ მიძვეებოდა პროცესის, ბოლოს მაინც გულმა ველარ მოუთმინა და მიცვალაბულს გასძახა:
— ალალი იყოს, ჩემო უცხო მკვდარო, სამადლოდა გმარხავ. იქნებ უკეთესის ღირსი იყავ, შენი და ჩემი ცოდვა რკინიგზის მილიციის კისერზე იყოს.
მილიციაში კი შედგა აქტი, ჩამოიწერა განცხადება და ეს შემთხვევა დავიწყებას მიეცა. შეიძლება მხითარინების მოკეთებულ დავიწყებოდათ კუკიის სასაფლაოზე დაკარძალული თინა მხითარინის ხსოვნა და არსებობა, რომ ამ ცოტა ხნის წინ თვითონ „მიცვალაბული“ არ გამოცხადებულყო სახლში და დადარდინებულ მეზობლებისათვის შიშის ზარი არ დაეცა.
შეილს პირველად თვალი თამარ მხითარინმა შეასწრო, გულში ჩაიკრა და მეზობლებს სიხარულით გასძახა:
— ხომ ვამბობდი სხვა არი-მეთქი. ახლა რალას იტყვიან მილიციაში?
მიკითხ-მოკითხვის შემდეგ გახარებულმა თამარმა შეილი წინ წაიმძვარა და ისევ რკინიგზის თბილისის სადგურის მილიციას ესტუმრა.
— აი ჩემი შეილი, მილიციაჯან, ისეთივე სალსალამათი, როგორიც იყო. არც სული გაჰპარვია და არც ტყავი გაუქიშნია, თინა არის და თინა...

ნა... ვაკეში გათხოვილა და თურნე ჩენი ეხატრებოდა...
რკინიგზელებმა პაერი ღრმად ჩიხსუნთქეს და კარგა ხნის დუმლის შემდეგ ჩაიდუღუნეს:
— ეჰჰ... ვიცით, თამარ, ვიცით ის ქალი სხვა ყოფილა... ხარჯი მოგივიდა... იზარალე... შეცლომა იყო...
— კარგი ქაა, მაგრამ ის ვინც დამასაფლავებინეთ, ვინ იყო?
— ვინ იყო, დედიჯან, და სედა ოგანუზოვა, შენ შეილსა გავდა...
— მერე ახლა ორმოციც მე უნდა გადაუხადო?
მილიციის მუშაკებმა კრიკა შეიკრეს და მწარე ხვნეშა აღმოხდათ!

მ. კახელიშვილი


ნახ. დონისა



— მომილოცავს, ამ ახალი პიესით შენ უკვდავი გახდი!
— უკვდავიო? მაშ მონორარის აღებას მოვხერხებ ხელგუნების ხაქმეთა ხამართველოში!



ნახ. გ. ლომიძისა



მჩატე დირექტორი და მლიქვნელი მოადგილე.

- გამგემ ვერაფერი გაფანტა და რევიზორის ოჯახი აგარაკზე ვერ წავიდაო.
- რევიზორმა თვალები დახუჭა და გამგის სიმართლე ისე დაინახაო.
- ბედნიერი იმით ვარ, რომ საბინაო სამმართველოსთან საქმე არა მაქვსო—უთქვამს ღოკოკინას
- საქმე არ ჰქონდეს ანოსა—მოდგეს და ათარგმანოსა.
- ღვინის სარდაფის გამგემ ოქვა: ღმერთო, დენი შეწყდეს და წყალი არაო.

ო. ზენი

წახილის ეიზაზი

სუზას არქესტრი საგასტროლოდ ჰაუსტონში იმყოფებოდა. იქ ერთმა გავლენიანმა პირმა სუზა სადილად მიიბატოდა. ამ ჯენტლმენს მალალი თანამდებობა ეჭირა და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა, მაგრამ ისეთი მუნწი იყო, რომ მეზობლებს მისი სიძუნწე სალაპარაკოდ გაეხადათ.

სადილის შემდეგ პროფესორს, რომელიც დაკვირვების შესანიშნავი ოსტატი იყო, სთხოვეს დაუკარო, და სუზაც როიას მიუჯდა. დაუკრა ბეთჰოვენის რამდენიმე მომჯადოებელი სონატა და გამოჩენილი კომპოზიტორების ნაწარმოებები. სუზა ადავთოს ასრულებდა მინორში. მან მასპინძელს მოუსვენრობა შეატყუო: წამდაუწუმ ფანჯრისკენ იყურებოდა, რაღაც აწუხებდა, ვერ ისვენებდა. ცოტა ხნის შემდეგ იგი სუზასთან მივიდა, მხარზე ფრთხილად დაადო ხელი და უთხრა:

— გეთაყვა, ტემპით დაუკარით რაიმე, აი, დუიგუ, ან კვისტები, რაიმე ჩქარი და მხიარული.

— ა! —თქვა პროფესორმა, —მესმის, დიახ, მესმის, ნაღვლიანი ნუსიკა ცუდად მოქმედებს თქვენზე, გულს გიწუხებთ, ხომ?

— არა, არა, —მიამახა მასპინძელმა, —თქვენ ვერ გამიგეთ: უკანა ეზოში მხერხავი მყავს, შეშას ხერხავს და მთელი ნახევარი საათია თქვენი მუსიკის ტემპით მუშაობს.

თარგმანა გ. კახაბაშვილმა

- ასუერ გავომეს და სახდის რემონტი ურთხედაც არ დაიწყესო.
- ნოქარს ჰკითხეს: — მეტრი ქსოვიდი რა ღირსო—და მუმტარს გააჩნიაო.
- კავშირგამბულობის დირექცია თავს იმართლებდა: სოიუზპერატში უარესი ხდებოა.

შეადგინეს კ. გელათელია და გ. ჯინჯარაძემ



უტექსტო ხუმრობა ა. კანდელაკისა

„ნიანგის“ ღმერთი

ახალტა—სამოსია ქუჩისა, შეპკერავენ და მყის დაგ-
ლეჯენ ალაგ-ალაგ.

ბაზა—ბერძენთა ენა, მაგრამ ამერიკელები ხმარობენ.

ბურთი—არც ისე ფეხწამოსაკრავი საგანი.

გროსმეისტერი—სხვათა სიტყვაა, ქართულად „არ
გვყავს“ იტყვიან.

ორთაქალაქები—როცა ელოდები და აღარ გელირება.

„პრიმა“—„აერორა“, გინა „ნოვიე“, გინა „იუენიე“.

პირდაპირი მნიშვნელობით—ქალაქში გახვეული მტკერი
(ხანდახან თუთუნსაც უმატებენ). ხატოვანად—მწარე კვამ-
ლით დახრჩობა, გაგუღვა.

პრემიერა—პირველს ნიშნავს, ხანდახან უკანასკნელსაც.
(ოპერა—„კრიკინა“).

რომანი—ორ სახედ ითქმის. პირველ არს წიგნი გრძე-
ლი, კეთილად თავდება. მეორე არს სიყვარული მოკლე,
ჩხუბით თავდება.

ტელეფონ-ავტომატი—ყულობის სახე არს, სამშაურთან-
თა შესაგრავებლად.

ფანქარი—გაუთლელ კაცზე იტყვიან.

ფეხბურთის თახი—რუსეთსა და უკრაინაში ხარობს.
საქართველოში არ მოდის.

შეყვარებული—შეყვარებულთან ნახე.

მაშაკაცის წინდა—ხარისხიანი თუ სადმე ნახო, ჩვენც
შეგვატყობინე.

მელოდია—კომპოზიტორთან ვერ ნახო.

მოთმინების ფიალა—ეს უფრო ხშირად ივსება, ვიდრე
ლულის ქიქები.

შეადგინა ედ. ყოფიანმა

ღმერთ ტრიფონ რუხაძის ღმერთი

რადგან „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის“ გამოცემა იგ-
ვიანებს, დოცენტმა ტ. რუხაძემ განიხილა შეავსოს ეს ნაკლი და განმარ-
ტოს მკითხველს ზოგიერთი უცნობი სიტყვის მნიშვნელობა. ლექსიკონი
დართული აქვს მისივე წიგნს „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“.

ალღა—ალვის ხე ტანი.

ახალტა—იგივე მნიშვნელობით.

ზილფი—ზილფი.

ზილიხანი—რომან „იოსებ-ზილიხანიანის“ მთავარი
პერსონაჟი.

იოსებ—რომან „იოსებ-ზილიხანიანის“ პერსონაჟი.

რაინდი—რაინდი.

სატირა—ახსენებს დ. რექტორი.

ქარქვეტი—ქარის სახე.

შაირი—ლექსი.

ჯერანი—გარეული ონავარი ფრინველი.

ნიანგმა ამ ლექსიკონს დაუმატა რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ავ-
ტორს გამორჩა (რა თქმა უნდა, შემთხვევით):

გრამატეკა—გრამატიკის სახე.

დოცენტი—დოცენტი

ლექსი—შაირი.

რწყილი და ჭიანჭველა—„რწყილი და ჭიანჭვე-
ლას“ მთავარი პერსონაჟები.

კამეჩი—ლამის უწყინარი მგალობელი ფრინველი
(ბუჩქზე უყვარს ჯდომა).

ქარვასლა—ქარის სახე.



ცხელა. ზღვა ხალხი აწყდება თბილისის ზღვას.

თბილისის ქალაქის საბჭოც თავის მხრივ ზრუნვას არ აკლებს ამ
კეთილშენის კეთილმოწყობას: ზღვაში ჩაშვებულთა ახალი „გემები“,
კატარღები და ნავები, ყველაფერი გათვალისწინებულია.

ახე განინჯეთ, ზღვამდე მისასვლელად ლაშაში, კრიალა ავტო-
ბუსებიც კი გამოუყვია ჩვენს „ავტოტრანსს“; მხოლოდ ერთი „პატარა
წვრილმანი“ გამოჩენია მას: ავტობუსების რიცხვი მცირეზე-მცირეა,
ხოლო მათი მიმოსვლის წესი და წესრიგი—სულ უმცირესი, სულ მი-
ვიწყებული. ამას თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ნიანგის ფოტოს ფო-
კუსში მოხვედრილი დამახასიათებელი სურათი: ეს თბილისის ზღვიდან
უკან დაბრუნების მომენტი გახლავთ აღბეჭდილი.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სწორედ ასევე ხდება ლისის
ტბაზე მოგზაურობაც, შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ, რა
სიამოვნებით ბრუნდება უკან თბილისის ზღვიდან და ლისის ტბით
ნახიამოვნები მოქალაქე.

ჩვენი ფაქტი

ბ. ხერგული, გალ. ჯანიკაძეს.

თქვენი ლექსი მართლაც „აქეთურ-
იქეთური“ გამოსულა და ის სანიანგოდ
არ გამოდგება. ვუპასუხებთ მხოლოდ მის
ბოლო სტროფს:

„რა ვუშველოთ ჩვენსა კლუბსა,
რომლის გამგეც არ მუშაობს,
რომლის ჭერში ერთი ბუ ზის
და ჭრიქინა აურზაობს?“

ამ საქმეს სულ ადვილად მოველებთ:
განდევნეთ ის ბუ. ე. ი. შეცვალეთ უქნა-
რა გამგე და თქვენი კოლმეურნეობის
თავმჯდომარეს აუხსენით, რომ იგი ვალ-
დებულია ბუზე უკუაუგის ნხედველობა
ჭკონდეს.

მაშინ კლუბში მუშაობაც გამოცოცხლ-
დება და თქვენც ნინათთან ასეთი ლექ-
სებით „აურზაობა“ არ დაგჭირდებათ.

ვარაზისხევი, შ. ნ-შვილს.

„...სულ პატარა რამისთვის
მე ხირცხვილში ვარდები“-ო

მოსთქვამთ სამართლიანი გულისტკივი-
ლით იმის გამო, რომ თურმე:

„...წინდები მაქვს „ბულოფკით“
შარვალს მიმაგრებული,
რადგან წინდის „სამაგრის“
გამოშვება თბილისში
არის დაფიქრებული...“

დალოცვილო, თუ ასეთ „სირცხვილ-
ში“ ჩავრდით ყველა იმ წვრილმანი სა-
სეზონო საგნების გამო, რომელთა გამო-
შვება ეკისრებათ და შეუძლიათ ჩვენს სა-
რეზერტებებსა თუ ფაბრიკებს და, რო-
მელთა გამოშვებაზე ისინი სულაც არ
ზრუნავენ, (მაგალითად, წინდების, მამა-
კაცის „ბადეების“, ნავთურის პატრუქე-
ბის, კბილის ჯაგრისებისა და მრავალი
სხვა), მართლაც დარდებით აივსებთ.

აბა, იმ საწარმოების მესვეურებსაც
კითხეთ. ვინც, მაგალითად, ვალდებულია
მალაზიებს მოაწოდოს პატარა, ან დიდი
ზომის საბავშვო ფეხსაცმელი და არ კი
აწვიდს „ვარდებიან“-სირცხვილში? არა.

ბ. ცნობილათეს (ს. ზოგრეთი, ზესტა-
ფონის რაიონი) თქვენ უჩივით ზოგრეთის
კოლმეურნეობის თავმჯდომარეს—ჩარის
პლანტაციებში მაყვალი მოამრავლაო:

„...ჩარის პლანტაციებში
მოამრავლეს მაყვალი...“

„საპატია“ მიზეზსაც იქვე ასახელებთ:

„...დაგვიდგება თამადა,
მთელ დღეს ილაპარაკებს,
ყოველ სადღეგრძელოზე
მოიშველებს არაკებს...“


და თან ცნობისმოყვარედ კითხუ-
ლობთ: რამ უნდა გამოასწოროს პლანტა-
ციების მდგომარეობაო?

ნიანგი ორ უებარ საშუალებას ასახე-
ლებს: საკიროა არაკებზე ხელის აღება
და მუშაობისათვის ხელის მოკიდება...

გოგითო მარამიძეს (მუსხრანი). თქვენს
გუდაფუშტა ლექსში ერთი პლუსი აღმო-
ჩნდა: თურმე მუხრანიდან მცხეთაში აპი-
რებთ გამგზავრებას ასეთი განზრახვით:

„ამ დღეს მოვიცილი სადარბაისლოდ,
ამ დღეს შევხვდებით სამერმეისლოდ...“

აბა, თქვენ იცით: როცა „სადარბაის-
ლოდ“ მოიცალეთ, იფიქრეთ იმაზედაც,
რომ შემდგვისათვის, ე. ი. „სამერმეისლოდ“
ნიანგს უგზავნათ საქმიანი, კონკრეტული
და როგორც გრამატიკულად, ისე აზრო-
ბრივად გამართული ლექსი, ან პროზა.



რედაქტორი—ვახტანგ ქელიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი,
ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-48.

გამომც. № 12, ხელმოწ. დასაბ. 5/VII-1955 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 137. „ნარია ვოსტოკას“ სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42, შეჯგ. № 1225 უფ. 05647 ტრ. 25.000



-- ძლივს არ მოაგონდა თქვენს სოფსაბჭოს ახალი გზის გაყვანა!
-- ეჰ, საბჭოს თავმჯდომარე გადავიდა ახალ სახლში და თავის სახლამდე გაჰყავს გზა.